

გორის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს

სხდომის ოქმი N 9

16.06.2023 წ.

ქ.გორი

მიმდინარე წლის 16 ივნისს გორის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს რიგით მეცხრე სხდომა გაიმართა.

შეხვედრის დაწყების დრო 12:00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

გორის მუნიციპალიტეტის მერი - **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი**

გორის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი - **გიგა ბერიძე**

გორის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური სამსახურის უფროსი - **არჩილ გიუნაშვილი**

მრჩეველთა საბჭოს წევრები:

1. დარეჯან მურადაშვილი
2. იაკობ მაღალაშვილი
3. მალხაზ გოჩაშვილი
4. ზურაბ ზურაბაშვილი
5. თამარ კაპანაძე
6. თამარ თინიკაშვილი
7. თინა ბრეგვაძე
8. ვალერი სუხიშვილი

დღის წესრიგი:

- I. საბჭოს მიერ მერისთვის წარდგენილი რეკომენდაციების განხილვა და უკუკავშირი
- II. საბჭოს მიერ გაწეული საქმიანობების შემაჯამებელი ღონისძიებისათვის საორგანიზაციო საკითხების განხილვა
- III. მომდევნო საბჭოს სხდომის თარიღისა და საკითხების განსაზღვრა

მომხსენებელი: მრჩეველთა საბჭოს მდივანი - თამარ კაპანაძე

მოისმინეს:

- I. საბჭოს მიერ მერისთვის წარდგენილი რეკომენდაციების განხილვა და უკუკავშირი

დარეჯან მურადაშვილი - მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარემ განსაზღვრა საბჭოს სხდომა, მიესალმა შეხვედრის მონაწილეებს, გააცნო დღის წესრიგი. გამომდინარე იქედან, რომ მერიისთვის საბჭოს მიერ მიწოდებული რეკომენდაციები მოსახლეობის ინიციატივებიდან, ინტერესებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარეობს, ძალიან მნიშვნელოვანია მერიის მხრიდან უკუკავშირის მიღება თითოეულ გაცემულ რეკომენდაციაზე.

იმისთვის, რომ მოსახლეობას მიეწოდოს სრულყოფილი ინფორმაცია, საბჭოს სხდომაზე მოხდა გაცემული რეკომენდაციების განხილვა:

1. დიმიტრი ყიფიანის სახელის საპატივსაცემოდ გორის მუნიციპალიტეტში არსებულ რომელიმე სკვერს მიენიჭოს დიმიტრი ყიფიანის სახელი.

გიგა ბერიძე - მერიას მომზადებული აქვს ახალი სკვერის პროექტი წმინდაწყალზე და მომავალი წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნება ახალი სკვერის მოწყობა, რომელსაც მიენიჭება დიმიტრი ყიფიანის სახელი.

2. შემუშავდეს გორის მუნიციპალიტეტის მერიის შუამდგომლობის წერილი მეჯვრისხევის კულტურის ცენტრის რეაბილიტაციის თაობაზე შესაბამის უწყებასთან.

ვლადიმერ ხინჩეგაშვილი - უახლოეს პერიოდში წერილი მიეწერება კულტურის სამინისტროს მეჯვრისხევის კულტურის ცენტრის რეაბილიტაციის თაობაზე. შენობა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია და მისი რეაბილიტაციის საკითხი მერიისთვის პრობლემურ საკითხს წარმოადგენს.

3. შეიქმნას სამოქმედო გეგმა, სადაც გაიწერება ის საჭირო აქტივობები, რაც გორის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საბოლოო დამტკიცებასთან დაკავშირებით არის საჭირო. მერიამ გამოაცხადოს მორატორიუმი გორის ცენტრალურ უბნებში მრავალსართულიანი და მოსახლეობისათვის საფრთხის შემცველი ობიექტების მშენებლობაზე. (შეცდომისა და რისკების, ხარვეზების, ქალაქისათვის ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად)

გიგა ბერიძე - მიმდინარეობს მუშაობა ამ საკითხთან დაკავშირებით.

დაკო მურადაშვილი - თუ არის გათვალისწინებული 2023 წლის ბიუჯეტში თანხა დამატებითი სამუშაოებისთვის, მოხდა თუ არა გარკვეული ექსპერტული სამუშაოების შესყიდვა?

გიგა ბერიძე - სამუშაოების შესყიდვას ესაჭიროება სამუშაოების ჩამონათალი, ე.წ ტექნიკური დავალება, რაზეც მიმდინარეობს მუშაობა. მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე, მაქსიმალურად ეცდება მერია ეს საკითხი პრიორიტეტულად განსაზღვროს.

თამარ კაპანაძე - რა არის ის შემაფერხებელი ფაქტორები, რის გამოც ვერ ხერხდება გენგეგმის დამტკიცებამდე მისვლა?

გიგა ბერიძე - ეს არის რთული პროცედურა და დრო სჭირდება.

დაკო მურადაშვილი - დროში თუ გაიწელება ხომ არ დაეკარგება ძალა გენგეგმას. ძალიან ბევრმა პრობლემამ იჩინა თავი გენგეგმის უქონლობის გამო. ყველა თანხმდენა, რომ ეს არის პრიორიტეტი. სტრატეგიული დოკუმენტი ვერ შემუშავდება გენგეგმის დამტკიცების გარეშე.

თამარ კაპანაძე - გამოცხადდება თუ არა მორატორიუმი ცენტრალურ უბნებზე წარდგენილი რეკომენდაციის მიხედვით?

გიგა ბერიძე - მერია დაუბრუნდება საკითხის განხილვას. კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ მიმდინარეობს მუშაობა.

„მორატორიუმის საკითხს კიდევ გადავხედავთ და გაცნობებთ.“ - აღნიშნა გიგა ბერიძემ.

4. მერიამ მოახდინოს შუამდგომლობა მუნიციპალური განვითარების ფონდთან და შპს „AWARD“ თან, რათა გაიმართოს ახლაბადის მიმდინარე სამუშაოების შესახებ საჯარო პრეზენტაცია და განხილვა.

გამომდინარე იქედან, რომ საბჭოს მიერ წარდგენილი რეკომენდაცია საჯარო განხილვებთან დაკავშირებით არ დაკმაყოფილებულა, მერია საკითხთან დაკავშირებით დამატებითი კომენტარისგან ამ ეტაპზე თავს იკავებს. სამუშაოების და პროექტის ცვლილებებიდან გამომდინარე, ახლაბადის რეაბილიტაციის დასრულების თარიღი 15 ოქტომბრამდე არის გადაწეული, შესაბამისად მერია დაელოდება როდის გადასცემს კომპანია დასრულებულ პროექტს, რის შემდეგაც არ გამოირიცხავენ, რომ დამატებითი სამუშაოების შესრულება გახდეს საჭირო მერიის მხრიდან.

5. სანიაღვრე არხებზე, სადაც შესაძლებელია, მოხდეს ცხურებით დაფარვა.

გიგა ბერიძე - ქუჩების რეაბილიტაცია ითვალისწინებს ცხურების მოწყობასაც. შესაბამისად, ნებისმიერი ახალი რეაბილიტაციის შედეგად ყველა ქუჩას ექნება გადახურული არხები. თუმცა არსებობს ისეთი ფაქტებიც, როდესაც თვითონ მოსახლეობა ამბობს უარს მათი სახლის წინ ცხურების მოწყობის, რადგან შემდეგ მანქანების სადგომად მოიხმარს გამვლელი ტრანსპორტი. ხშირია მოსახლეობის მხრიდან ცხურების ადგილმონაცვლეობის შეცვლისა და ქურდობის ფაქტები.

6. იზრუნოს ქალაქში საზოგადოებრივი საპირფარეშოების მოწყობის საკითხზე.

ვლადიმერ ხინჩეგაშვილი - მერიამ გადაწყვიტა, რომ როდესაც ფართს, რომელსაც გასცემს მერია იჯარით ტურისტულ ადგილებში, მათ ხელშეკრულებით ექნებათ საპირფარეშოების მოწყობის ვალდებულება.

7. ჩოჩიშვილის სასპორტო სკოლაში შესასვლელად მოეწყოს ადაპტირებული ინფრასტრუქტურა ეტლით მოსარგელებათვის.

გიგა ბერიძე - მერიას აქვს გათვალისწინებული აღნიშნული საკითხის მოგვარება.

8. საჩოგბურთო მოედნის მდგომარეობა და სარეაბილიტაციო სამუშაოები.

გიგა ბერიძე - უახლოეს პერიოდში არ იგეგმება საჩოგბურთო მოედნის რეაბილიტაცია. პროექტი არსებობს, თუმცა ფინანსური რესურსი არ არის ამ ეტაპზე საკმარისი მის განსახორციელებლად.

9. გორში სადგურის დასახლებაში მოეწყოს გარე განათება.

გიგა ბერიძე - ზემოთ აღნიშნული მონაკვეთზე გარე განათების მოსაწყობად მერიამ გამოაცხადა ტენდერი

10. რეკომენდაცია მიეცეს მერიას გაზარდოს გორის ახალაგაზრდულ ცენტრზე (ქ. გორი სუხიშვილის ქუჩა) ხელმისაწვდომობა, ისეთი მიდგომითა და გრაფიკის შემუშავებით, რაც

საშუალებას მისცემს ახალგაზრდულ ორგანიზაციებს ისარგებლონ სადამოს საათებში ან შაბათ კვირას.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაწყებულია მსჯელობა შესაბამის განყოფილებასთან. გამომდინარე იქედან, რომ შაბათ-კვირას დასაქმებულს პერსონალს არ სურს მუშაობა, შესაძლებელია სრულყოფილად ვერ მოხერხდეს აღნიშნული რეკომენდაციები შესრულება, თუმცა მაქსიმალურად ეცდებიან ახალგაზრდებს შეუწყონ ხელი, რათა აქტიურად ისარგებლონ ცენტრით.

11. მუნიციპალური ტრანსპორტის ეფექტური მუშაობის ხელშეწყობის მიზნით მოხდეს თითოეული ავტობუსის მარშრუტის დატანა ვიზუალურად ქალაქის რუკაზე, გრაფიკულად პოსტერზე და გამოეკრას ან გაჩერებებზე, ან თავად ავტობუსებში, რაც საშუალებას მისცემს მოსახლეობას, იცნობდნენ ნომრების მიხედვით რა გზას გადის თითოეული ავტობუსი.

არჩილ გიუნაშვილი - აღნიშნულ თემაზე მიმდინარეობს მუშაობა და პროცესშია საკითხი. შესაბამისად აღნიშნული რეკომენდაცია გათვალისწინებული იქნება.

12. სოფლად მცხოვრები მოსწავლეებისათვის და სტუდენტებისათვის დაინერგოს მოსწავლეთა და სტუდენტთა ბარათებით სარგებლობის საშეღავათო პრაქტიკა. მერიაში შეიქმნას კომისია, რომელიც იმუშავებს მოწყვლადი ჯგუფებისათვის საშეღავათო პაკეტების კრიტერიუმების შემუშავებაზე მრჩეველთა საბჭოს მონაწილეობით.

არჩილ გიუნაშვილი - მუნიციპალიტეტის ერთ ერთი პრიორიტეტია, რომ სოფლად იყოს მუნიციპალური ტრანსპორტი. თბილისის მერიასთან მიმდინარეობს მოლაპარაკებები, რათა გორის მერიას გადმოეცეს ავტობუსები, რათა გამოსწორდეს პრობლემა. რამდენიმე მიმართულებით იქნება შესაძლებელი საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობა.

რაც შეეხება შეღავათების დაწესებას, ამასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ ის ტარიფი, რასაც საზოგადოება იხდის საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობისთვის, არის უკვე შეღავათიანი. ერთი მგზავრის გადაადგილება გაცილებით მეტი უჯდება მერიას და ცდილობს მის სუბსიდირებას, ასევე ქალაქში არსებობს ერთსაათიანი გადაჯდომის შეღავათი, რომელსაც სტატისტიკურად საკმაოდ კარგად იყენებს ადგილობრივი მოსახლეობა.

13. საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით მერიის ვებ გვერდის მოწესრიგებასთან დაკავშირებით არა ერთი რეკომენდაცია იქნა გაცემული.

აღნიშნული საკითხის გათვალისწინება მაქსიმალურად მიმდინარეობს, ამ ეტაპზე საიტზე უკვე არის ხელმისაწვდომი ინფორმაცია, როგორც საბჭოს საქმიანობის შესახებ, ასევე მერიაში მოსახლეობისთვის არსებული სხვადასხვა დაფინანსების პროგრამების შესახებ.

14. ახალგაზრდული პროექტების დაფინანსების დროს უპირატესობა მიენიჭოს ისეთ პროექტებს, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდული სივრცეების გაჩენას და ტექნოლოგიური მიმართულებით ახალგაზრდების შესაძლებლობების განვითარებას.

აღნიშნულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით უკუკავშირი ასეთია:

გორის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის პოლიტიკის დოკუმენტის მეოთხე მიზნის საფუძველზე, ახალგაზრდული პროექტების თანადაფინანსების პროგრამის საპროექტო

განაცხადების განხილვისა და შეფასების სამუშაო ჯგუფი, პროექტების თანადაფინანსებაზე რეკომენდაციის გაცემის დროს, ყოველთვის უპირატესობას ანიჭებს ისეთ ინიციატივას, რომელიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდული სივრცეების გაჩენას. ამის კარგი მაგალითია 2023 წლის 27 თებერვალს გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და ა(ა)იპ ახალგაზრდა მკვლევართა და ანალიტიკოსთა გაერთიანებას შორის გაფორმებული ხელშეკრულება № ახალ 002, რომლის საფუძველზეც ქ. გორში ფუნქციონირება დაიწყო „ახალგაზრდულმა კაფემ“. „ახალგაზრდული კაფე“ აღჭურვილია ყველა საჭირო ინფრასტრუქტურით, რაც შესაძლებლობას იძლევა ჩატარდეს ახალგაზრდების უნარ-ჩვევების განვითარებაზე ორიენტირებული სხვადასხვა სახის ტრენინგები და შეხვედრები. აგრეთვე, გორის მუნიციპალიტეტის მასშტაბით იგეგმება 5 ახალი ახალგაზრდული ცენტრის ფუნქციონირება. გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, განხორციელდა პროექტი "რობო კლუბი". აღნიშნული პროექტის ფარგლებში ახალგაზრდებმა შეისწავლეს რობოტექნოლოგიის ინსტრუქციის კითხვა, რობოტექნიკის დამოუკიდებლად გამოყენება და რობოტის აწყობა. ახალგაზრდებმა განივითარეს მოტორული უნარები და გაეცნენ გუნდური მუშაობის პრინციპებს ტექნოლოგიური მიმართულებით. აგრეთვე, დაგეგმილია „რობო კლუბის“ ჩამოყალიბება, რაც ითვალისწინებს უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი სივრცის შექმნას, სადაც ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროთი დაინტერესებულ ახალგაზრდებს შესაძლებლობა ექნებათ დაესწრონ სასწავლო კურსებს კვალიფიციური ტრენინგების ხელმძღვანელობით.

დროის სიმცირის გამო, აღნიშნულ სხდომაზე ვერ მოხერხდა ყველა რეკომენდაციის დეტალურად განხილვა და გადაწყდა, რომ მერია კვლავ განაგრძობს მათზე მუშაობას და შემდეგ შეხვედრაზე მოიწვევს იმ პასუხისმგებელ განყოფილებების წარმომადგენლებს, ვისაც გადაბარებული აქვთ თემატურად რეკომენდაციები.

II. საბჭოს მიერ გაწეული საქმიანობების შემაჯამებელი ღონისძიებისათვის საორგანიზაციო საკითხების განხილვა

დარეჯან მურადაშვილი - როგორც ცნობილია, საბჭოს მიერ მოხდა დებულებაში ცვლილების შეტანა, რის მიხედვითაც საბჭო ვალდებულია მოსახლეობას წარუდგინოს შესრულებული საქმიანობის წლიური ანგარიში. გამომდინარე იქედან, რომ ერთი წელი ივლისის თვეში შესრულდება, საბჭო გეგმავს საჯარო პრეზენტაციის გამართვას.

საბჭომ იმსჯელა და გადაწყვიტა, რომ წლიური ანგარიშის წარდგენა მოხდება საჯაროდ სექტემბრის თვეში, მანამდე კი დრო კვლავ დაეთმობა იმ რეკომენდაციებზე პასუხების გამოთხოვას, რაზეც ერთი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა მუშაობა.

საბჭო მომდევნო ერთი წლის განმავლობაში აპირებს, აქტიურ თანამშრომლობას მოსახლეობასთან და სხვადასხვა სექტორის ჩართულობის უზრუნველსაყოფად ღონისძიებების დაგეგმვას, რაც საბჭოს წევრებს საშუალებას მისცემს უფრო ეფექტური და მნიშვნელოვანი რეკომენდაციები წარუდგინოს მერიას.

დაადგინეს/გადაწყვიტეს:

დარეჯან მურადაშვილი - შეაჯამა მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მეცხრე სხდომა. მადლობა გადაუხადა სხდომის მონაწილეებსა და მომხსენებლებს აქტიური ჩართულობისათვის.

საბჭომ მუშაობა დაასრულა 14:00 საათზე.

მომდევნო სხდომის გამართვის სავარუდო თარიღად განისაზღვრა ივლისის ბოლო კვირა.

რეკომენდაციები:

1. მერიის მხრიდან მოხდეს საბჭოს მიერ გაცემულ რეკომენდაციებზე წერილობითი პასუხების იმ ფორმით გაცემა, რა სახითაც წარედგინება მოსახელობას მერიის ოფიციალური პოზიცია, თითოეულ პრობლემურ საკითხთან დაკავშირებით.
2. საბჭოს სხდომაზე განხილული საკითხებიდან გამომდინარე, თითოეულ საბჭოს წევრს დაევალოს გაწეული რეკომენდაციების მიხედვით თემატურად გადანაწილება და საბჭოს შემაჯამებელი დონისძიებისთვის საჭირო სამუშაოების და პასუხსიმგებლობების გადანაწილება.

საბჭოს თავმჯდომარე:

დარეჯან მურადაშვილი

